ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
საფეხური: სამაგისტრო
პროგრამა: ლექსიკოგრაფია, ტერმინოლოგია და თანამედროვე ტექნოლოგიები

პროგრამაზე მიღების მოთხოვნები და შეფასების სისტემა

„ლექსიკოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და თანამედროვე ტექნოლოგიების“ სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია:

1. საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;
2. სულ მცირე ბაკალავრის ხარისხი:

„ლექსიკოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და თანამედროვე ტექნოლოგიების“ მიმართულებით სწავლის გაგრძელების მსურველებს უნდა ჰქონდეთ სულ მცირე ბაკალავრის ხარისხი.

მოცემული წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში აპლიკანტმა უნდა გაიაროს შიდასაუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდა (შეფასების სქემა მოცემულია დანართში). ზეპირ გამოცდას ატარებს დარგობრივი კომისია, რომელიც აფასებს შემდეგ სფეროებს:

1. აპლიკანტის მიერ შერჩეული სფეროს (ლექსიკოგრაფია) ცოდნა - 40 ქულა
2. ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე - 20 ქულა
3. მოტივაცია - 30 ქულა
4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 10 ქულა

აპლიკანტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ გამოცდაზე მიღებული ქულა იქნება 51 ქულაზე ნაკლები, ის გამოირიცხება ჩასარიცხ კანდიდატთა სიიდან.

დანართი

ზეპირი გამოცდის შეფასების კრიტერიუმები

		ქულა	მაქს. ქულა
1	**ცოდნა**		**40**
	საკითხის ცოდნა (თეორიები, კონცეფციები, ცნებები, კვლევები).		**20**
	არგუმენტების ვალიდურობა და სანდოობა, მსჯელობის თანმიმდევრულობა		**20**
2	**ინგლისური ენის ცოდნა**		**20**
	პროფესიული/დარგობრივი ტექსტის გაგებისა და გადმოცემის უნარი.		
3	**მოტივაცია**		**30**
	აპლიკანტის საგანმანათლებლო მიზნებისა და პროგრამის მიზნების თანხვედრა.		**15**
	აპლიკანტი ხედავს მეცნიერების შერჩეული დარგის და მისი გამოყენების ღირებულებას.		**5**
	პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის საჭიროებების და პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნის გამოყენების შესაძლებლობების გააზრება პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის პერსპექტივიდან.		**10**
4	**ზეპირი კომუნიკაციის უნარი**		**10**
	მოსაზრებების, არგუმენტების, პოზიციის მკაფიოდ, თანმიმდერულად და გამართულად გადმოცემა.		**10**
	სულ		**100**